

ბიძინა ივანიშვიდი პარტია "ქართული ოცნების" თავმჯდომარედ აირჩიეს (ვიდეო)



ქართულმა ოცნებამ" პარტიის მესამე ყრილობაზე თავმჯდომარედ პარტიის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვიდი აირჩია. ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ დედაგაბებს სიტყვითაც მიმართა.

„ჩვენ ვდგავართ ძარბე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, რასაც პირობითად სამი მიზეზი განსაზღვრავს და უქმნის ნოყიერ ნიადაგს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვიდმა პარტიის ყრილობაზე გააკეთა, სადაც ის პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარედ აირჩიეს.

ბიძინა ივანიშვიდმა პოლიტიკაში დაბრუნების მიზეზებზე ილაპარაკა და სამი პირობა გამოყო: არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე ოპონენტების უმრავლესობისგან მომდინარე დესტრუქციური მუხტი და ხერისუფლების შიგნით არსებული გაუგებრობები.

„ჩვენ ვდგავართ ძარბე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, რასაც პირობითად სამი მიზეზი განსაზღვრავს და უქმნის ნოყიერ ნიადაგს: პირველი მიზეზია ობიექტურად არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამ ისედაც რთული ვითარების კიდევ უფრო მძაფრ, ხელოვნურად დამძიმებულ ფერებში წარმოჩენის განუწყვეტელი მცდელობები; მეორე – ოპონენტების უმრავლესობისგან მომდინარე უკიდურესად დესტრუქციური მუხტი და ბოლოს, მესამე – ხერისუფლების შიგნით არსებული, მართალია სუსტი, მაგრამ მაინც სრულიად არასაჭირო, უსაფუძვლო და ქვეყნის ინტერესების

დამაზიანებელი გაუგებრობები“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

<https://youtu.be/z8WId8YRKP5>